ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 8

20 მაისი, 2022 წელი

14:00 სთ

სამგორის რაიონი

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

შოთა გრიგოლია

რევაზ სოხაძე-სამგორის რაიონის მაჟორიტარი

კახა სამხარაძე-სამგორის რაიონის გამგებელი

ნავთლუღის მეორე დასახლების მაცხოვრებლები.

სხდომა გაიმართა სამგორის რაიონში ღია სივრცეში.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV ქუჩის მონაკვეთისთვის და IV ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნინო თოიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების V ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნატო გიორგაძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების V ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ვენერა მეტრეველის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV და V ქუჩების მონაკვეთებისთვის და ერთი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული აზა ადამიას სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის II შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მარინა ჭყონია-სამარგულიანის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის II შესახვევის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნანა სამარგულიანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მექანიზაციის ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ზაირა კიკვიძის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის და შალვა ცინცაძის ქუჩის გასასვლელის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული გასასვლელისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მამუკა ნოზაძის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტყეკულტურის III შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული შალვა ქვასროლიაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების
11. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კონსტიტუციის ქუჩისთვის კომპოზიტორის, საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სერგი დანელია ქუჩის გაგრძელების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მარიკა ბარათაშვილის ჩიხისთვის მარიკა ბარათაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ორხევის სახელის მინიჭების შესახებ

15. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, სოხუმის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის სოხუმის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
17. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის IV მკ/რაიონში, 420-ე კორპუსთან არსებული უსახელო სკვერისთვის ირადიონ (იური) ჩოფლიანის სახელის მინიჭების შესახებ
18. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, აჭარის ქუჩის გაგრძელების შესახებ
19. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ დამსწრე საზოგადოებასთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. კომისიის წევრებმა მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

1. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV ქუჩის მონაკვეთისთვის და IV ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნინო თოიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების V ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნატო გიორგაძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების V ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ვენერა მეტრეველის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV და V ქუჩების მონაკვეთებისთვის და ერთი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული აზა ადამიას სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის II შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მარინა ჭყონია-სამარგულიანის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის II შესახვევის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნანა სამარგულიანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მექანიზაციის ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ზაირა კიკვიძის სახელის მინიჭების შესახებ

8. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის და შალვა ცინცაძის ქუჩის გასასვლელის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული გასასვლელისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

9 ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მამუკა ნოზაძის სახელის მინიჭების შესახებ

10 ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტყეკულტურის III შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული შალვა ქვასროლიაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ ადგილობრივ მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია, რომ კომისიის გადაწყვეტილებით, ქვემო სამგორში, ნავთლუღის მეორე დასახლების რამდენიმე უსახელო ქუჩას 9 აპრილის დაღუპული გმირების სახელები მიენიჭება. 2022 წლის 9 აპრილს 33 წელი შესრულდა რუსთაველის გამზირზე დატრიალებული ტრაგედიიდან. 9 აპრილს დაღუპულთა თავდადებამ შეცვალა ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში.

თავისუფლებისათვის ბრძოლას 1989 წლის 9 აპრილს ოცდაერთმა ადამიანმა შესწირა სიცოცხლე. თბილისში 11 გეოგრაფიული ობიექტი ატარებდა 9 აპრილს გმირულად დაღუპულთა სახელებს. ამ ინიციატივით თბილისში 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ყველა გმირის სახელობის ქუჩა იქნება.

თბილისის საკრებულოს სამგორის მაჟორიტარი წევრის რევაზ სოხაძის განცხადებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის გადაწყვეტილებით, რომელიც ნავთლუღის მეორე დასახლებაში უსახელო ქუჩების დამისამართებას ეხება, ადგილობრივ მოსახლეობას მნიშვნელოვანი პრობლემები მოუგვარდება.

მოსახლეობამ მოიწონა გადაწყვეტილება და მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული ინიციატივისთვის.

კომისიის თაბ,ჯდომარემ კენჭიყრაზე დააყენა წარმოდგენილი ათი საკითხი:

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

11. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კონსტიტუციის ქუჩისთვის კომპოზიტორის, საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ 2020 წლის 1 ოქტომბერს განახორციელა ჩუღურეთში, ე.წ. არტოს ბაღისთვის კომპოზიტორ გია ყანჩელის სახელის მინიჭება. ხსენებული საკითხის საჯარო განხილვის დროს გაჟღერდა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა კომისიას ასევე ემსჯელა ერთ-ერთი ქუჩისთვის კომპოზიტორის სახელის მინიჭების თაობაზე.

ცნობილია, რომ ჩუღურეთის რაიონში, გია ყანჩელის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებობს კონსტიტუციის სახელობის ქუჩა. ხსენებული ქუჩისთვის სახელის მინიჭება განხორციელდა 1938 წელს. სახელწოდება უნდა ჩაითვალოს საბჭოთა ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებულად და უნდა დაიწყოს ცვლილებისთვის საჭირო პროცედურები.

იმის გათვალისწინებით, რომ გია ყანჩელი დაიბადა და სიცოცხლის ბოლომდე დაკავშირებული იყო ხსენებულ უბანთან, კომისია საჭიროდ მიიჩნევს კონსტიტუციის ქუჩას დაერქვას მისი სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კონსტიტუციის ქუჩას მიენიჭოს კომპოზიტორის, საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელი.

12. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სერგი დანელია ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი მეთორმეტე საკითხი. 2022 წლის 22 მარტს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ანა ქორიძის წერილი, რომლითაც ითხოვს დამისამართებას.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული ტერიტორია, რის შემდეგ დადგინდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სერგი დანელიას ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთორმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, გაგრძელდეს სერგი დანელიას ქუჩა.

13. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მარიკა ბარათაშვილის ჩიხისთვის მარიკა ბარათაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქალაქე ლანა ყურაშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს მარიკა ბარათაშვილის ჩიხის ქუჩად ჩამოყალიბებას. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. 2011 წელს ალ.ყაზბეგის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, ედიშერ მაღალაშვილის ქუჩასთან არსებულ ჩიხს მიენიჭა მარიკა ბარათაშვილის ჩიხის სახელი.

ზემოხსენებულ უბანში აღნიშნული ტერიტორია განაშენიანდა, განვითარდა და ჩიხი გახდა გამავალი, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ჩიხი ჩამოყალიბდა ქუჩად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეცამეტე საკითხი

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, მარიკა ბარათაშვილის ჩიხს მიენიჭოს მარიკა ბარათაშვილის ქუჩის სახელი.

14. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ორხევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი. 2021 წელს შემოსულია მოქალაქე ჯამილა ჩაჩხალიას წერილი, რომლითაც ითხოვს მითითებული საკადასტრო ერთეულების მიხედვით გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ ქუჩაზე ფუნქციონირებს რამოდენიმე მსხვილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომლებსაც არ აქვთ იურიდიული მისამართი, რის გამოც მათ ექმნებათ პრობლემები. რადგან უსახელო ქუჩა მდებარეობს ორხევში, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია უსახელო ქუჩას მიენიჭოს ორხევის სახელი. ქუჩასთან განვითარებულია ერთი ჩიხი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთოხმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს ორხევის სახელი.

15. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურთან წარმოებული კონსულტაციების ფარგლებში განიხილა ისნის რაიონში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირის I ჩიხის სახელის მინიჭების საკითხი.

კომისიამ აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეთხუთმეტე საკითხს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირთან მდებარე უსახელო ჩიხს მიენიჭოს წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირის I ჩიხის სახელი.

16. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, სოხუმის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის სოხუმის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით მ/წლის 12 იანვარს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ნინო თუხარელის განცხადება, რომლითაც ითხოვს წყნეთში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სოხუმის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის III ჩიხს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ვაკის რაიონში, წყნეთში, სოხუმის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს სოხუმის III ჩიხის სახელი.

კომისიამ აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთექვსმეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, წყნეთში, სოხუმის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს სოხუმის III ჩიხის სახელი.

17. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის IV მკ/რაიონში, 420-ე კორპუსთან არსებული უსახელო სკვერისთვის ირადიონ ჩოფლიანის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მეჩვიდმეტე საკითხი. 2021 წელს კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას წერილი, რომლითაც მოქალაქეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე ითხოვს ვარკეთილი 3-ის, IV მ/რ-ში მდებარე სკვერისთვის ირადიონ ჩოფლიანის სახელის მინიჭებას. კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. ასევე შეისწავლა მისი ბიოგრაფია. ირადიონ ჩოფლიანი მონაწილეობდა აფხაზეთის საომარ მოქმედებებში. მას დიდი წვლილი მიუძღვის რეკრეაციული სივრცეების შექმნაში. ირადიონ ჩოფლიანმა ვარკეთილში მოაწყო სკვერები და კარგი მაგალითი შექმნა როგორ უნდა ვიზრუნოთ ქალაქზე. სკვერის სახელდებას ითხოვს ათეულობით მოქალაქე.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ვარკეთილის IV მკ/რაიონში, 420-ე კორპუსთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს ირადიონ ჩოფლიანის სახელი.

18. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, აჭარის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია ჩუღურეთის რაიონის გამგეგბლის ზურაბ ჩიკვილაძის წერილი, რომლითაც მოქალაქე ზაურ ხაჩიძის მიმართვის საფუძველზე ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს აჭარის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისის შესაძლებელია მისი გაგრძელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეთვრამეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში გაგრძელდეს აჭარის ქუჩა.

19. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიას განსახილველად წარუდგინა შემდეგი საკითხი. მ/წლის 11 მარტს კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის, კახაბერ ლაბუჩიძის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს მოქალაქე როზა ყაზაიშვილს. იგი ითხოვს რომან გვენცაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტები მდებარეობს რომან გვენცაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის ოთხ უსახელო ჩიხს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებულ ოთხ უსახელო ჩიხს მიენიჭოს რომან გვენცაძის სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეცხრამეტე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებულ ოთხ უსახელო ჩიხს მიენიჭოს რომან გვენცაძის სახელი.

ნინო ვარდოსანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე